

შპს „ვიტ ჯორჯია ფარმი“ (ს/კ: 205081365)

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა
2018 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება-----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები----	6-12

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

აქტივები	შენიშვნა	2018	2017
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	118	2270
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები და სხვა მოთხოვნები	4	1088177	1349680
წინასწარ გადახდილი გადასახადები	4	7722	30
მარაგები		348225	368480
ძირითადი საშუალებები	5	272208	422213
არამატერიალური აქტივები	6	9988	9988
სულ აქტივები		1726438	2152661
ვალდებულება			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	661111	650947
საგადასახადო ვალდებულებები		17899	0
მოკლევადიანი სესხები	8	348750	221462
გრძელვადიანი სესხები	8	696670	965818
სულ ვალდებულება		1724430	1838227
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2000	2000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	10	-312426	312434
გადაფასების რეზერვი		0	0
სულ კაპიტალი	11	2008	314434
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1726438	2152661

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:



მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის
დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	9	1678996
თვითღირებულება	10	-1144503
სხვა	9	125394
საერთო მოგება		659887
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	11	-655975
საოპერაციო მოგება		3912
ფინანსური ხარჯი	12	-91945
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	13	-88033
მთლიანი სრული ზარალი		-88033

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:



შპს „ვიტ ჯორჯია ფარმი“ (ს/კ: 205081365)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი		
საკუთარი კაპიტალი	314434	314434
წმინდა მოგება	-213427	
სხვა სრული შემოსავალი	125394	
პერიოდის სრული შემოსავალი	-88033	
გაცემული დივიდენდი	-90000	
მარაგების ჩამოწერა-განადგურება	-134393	
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-312426	
2018 წლის 31 დეკემბერი	2008	2008

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:



შპს „ვიტ ჯორჯია ფარმი“ (ს/კ: 205081365)-2018 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ვიტ ჯორჯია ფარმი“(შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2005 წლის 22 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის ვაკე-საბურთალოს საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 205081365. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, წავთლულის ქ. N5/7. კომპანია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2006 წლის 23 ნოემბერს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფარმაცევტული, ჰიგიენურ-კოსმეტიკური საშუალებებით საბითუმო ვაჭრობა.

კომპანიის წილის მფლობელები არიან:

34% იანი წილის მფლობელი - გრიგოლ დადიანი (პ/ნ: 01009013985)

33%-იანი წილის მფლობელი - ნოდარ გურგენიძე (პ/ნ: 01008013016)

33%-იანი წილის მფლობელი - ზურაბ ესაიაშვილი (პ/ნ: 36001004303)

კომპანიის დირექტორია - ნოდარ გურგენიძე

2018 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა 38-40 ადამიანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს, კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2018 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2018 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებითი შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შემენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან.

ძირითადი საშუალებები

ცვეთა

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

აქტივის გაუფასურება

გაუვარგისებული და ვადაგასული მარაგების ჩამოწერა ხდება შემოსავლების სამსახურის მიერ შემოწმებისა და განაცხადის დადასტურების საფუძველზე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება რეალიზაციის დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

შენიშვნა-3 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	110	-
ფული საბანკო ანგარიშებზე	8	2270
სულ ჯამი	118	2270

შენიშვნა-4 სავაჭრო დებიტორული დავალიანებები და სხვა მოთხოვნები

ლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	1088177	1349680
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	7722	30
სულ ჯამი	1095899	1349710

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით გონივრულ რეალურ ღირებულებად.

სავაჭრო მოთხოვნების ამოღების პერიოდი შეადგენს დაახლოებით 45-90 დღეს.

შენიშვნა-5 ძირითადი საშუალებები ლარში

დასახელება	ნაშთი 31/12/2018	ნაშთი 31/12/2017
შენობა-ნაგებობა (ოფისი-საწყობი)*	231650	243843
მიწა (სასოფლო-საკარმიდამო)**		133480
ავტოტრანსპორტი	17384	21045
კომპიუტერული ტექნიკა	14569	15972
ავეჯი და სხვა ინვენტარი	8605	7873
სულ ჯამი	272208	422213

შენიშვნა-6 არამატერიალური აქტივები

დასახელება	ნაშთი 31/12/2018	ნაშთი 31/12/2017
პროგრამული უზრუნველყოფა	9988	9988
სულ ჯამი	9988	9988

შენიშვნა-7 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	661111	498579
მიღებული ავანსები	0	0
გადასახდელი დივიდენდები	0	152368
სულ ჯამი	661111	650947

შენიშვნა-8 მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები

ლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი სესხები	348750	221462
გრძელვადიანი სესხები	696670	965818
სულ ჯამი	1045420	1187280

კომპანიას გააჩნია ბანკიდან აღებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები.

შენიშვნა-9 ამონაგები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი რეალიზაციიდან	1678996
სხვა (მიწის რეალიზაცია)	125394
სულ ჯამი	1804390

შენიშვნა-10 თვითღირებულება

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი
რეალიზებული პროდუქციის	
თვითღირებულება	-1144503
სულ ჯამი	-1144503

შენიშვნა-11 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი
შრომის ანაზღაურება	-496976
საიჯარო ქირა	-23500
საწვავის ხარჯები	- 48043
ცვეთა და ამორტიზაცია	-20936
ბანკის მომსახურება	-8422
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	-58098
სულ ჯამი	-655975

შენიშვნა-12 ფინანსური ხარჯი

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯები	-91945
სულ ჯამი	-91945

შენიშვნა-13 მოგება/ზარალი დაბეგვრამდე

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი
ზარალი	-88033
სულ ჯამი	-88033

პირობითი ვალდებულება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბრს

დირექტორი:

